თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 15

ქ. თერჯოლა 22 ნოემბერი 2022 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ბადრი ბუცხრიკიძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ბადრი ბუცხრიკიძე, 2. ბიძინა ბუცხრიკიძე, 3. კობა კაცაძე, 4. ჯემალი ისაკაძე, 5. გოჩა ვერულაშვილი, 6. მერაბი ბასილაძე, 7. როლანდი მესხი, 8. ფრიდონ გვენეტაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. თერმურ ქოჩიაშვილი, 2. შალვა ჭანკვეტაძე, 3. ივანე ჩუბინიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 8
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,მზეკაბანი - 2007" -ს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-2822322572, 21.11.2022 წ.);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ,თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,მზეკაბანი - 2007" -ს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას 2022 წლის 10 ნოემბერს განცხადებით მიმართა შპს ,,მზეკაბანი - 2007" -მა, რომლითაც ითხოვს მერიასა და სკოლას შორის 2017 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადის 2 წლით გაზრდას, ვინაიდან სკოლაში მიმდინარეობს ავტორიზაციის პროცესი და ექსპერტების მითითებით სკოლა შენობა-ნაგებობას უნდა ფლობდეს მინიმუმ ავტორიზაციის ვადით (6 წელი). დღეის მდგომარეობით დარჩენილია 5 წელი. მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია შპს ,,მზეკაბანი - 2007" -ს გაუგრძელდეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადა 2 (ორი) წლით - 2029 წლის 5 სექტემბრამდე და 863,7 $მ^2$ არასაცხოვრებელი ფართის ორი წლის ქირის საფასური განისაზღვროს 25911 ლარის ოდენობით. საერთო ჯამში თერჯოლის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2022 წლის 4 მაისის № გ-29.29221247 განკარგულების პირობების გათვალისწინებით მთლიანი ქირის თანხა შეადგენს 90868,87 ლარს.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 8, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხითერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და შპს ,,მზეკაბანი - 2007“ -ს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი №28-2822322572, 21.11.2022 წ.).

კომისიის თავმჯდომარე

ბადრი ბუცხრიკიძე